

572  
1990

1990 Վ. ՃՄՈՅՆԻՔԻ ՈՒ Ի

ISSN 0132-3

ՀԱՅԿԱՍՏԱՆԻ  
ՍՈՑԻԱԼԻՍՏԻԿԱՆ  
ՊԱՐՏԱԿԱՆ ԳՐԱԴԱՐԱՆ

# ԳՐԱԴԱՐԱՆ



# პრინცი

ცირა ჭიბიაშვილი

რით არის არწივი ძლიერი?  
 სვამს თქვა: — შედიღურ იერით.  
 ქორმა თქვა: — ღონით და ძალითო,  
 მერამ კი: — ფოლადის ბრჭყალითო,  
 ჭილუვავმა: — მომნუსხავ მხერითო,  
 მიმინომ იუვირა: — შე ვიცი,  
 ვაჰკატურ გულის მგერთო.



# წყარო

თინათინ იმარი

საიდან მოდიხარ, ან საით მიდიხარ,  
 ჩემო მოჩუხჩუსე წყარო?  
 ვინ გათბობს ზამთარში,  
 ვინ გეინავს ზაფხულში,  
 წყარო — კურთხეული წყალო.  
 ეოველდე გნახულობ,  
 მინც სულ გნატრულობ,  
 ჩემო საევარელო წყარო...  
 თვალი გამიხარე, გული გამიგრილე  
 წყარო, მადლიანო წყალო!

# სამტაკო ფიჭვის ქვეშ



რეზაზ ინანიშვილი

როდესაც სიტყვას წიგნის ძალაზე ჩამოაგდებენ ხოლმე, მე, უბრველესად, ერთი ჩემი უფროსი მეგობრის ნაამბობი მახსენდება.

ეს მეგობარი ორმოცზე მეტი წლის წინათ ჩვენი ქვეყნიდან ძალიან შორს მოხვდა, თანაც ნაიძულებს სამუშაოზე. ნაიძულები სამუშაო ვეღვან მწელია, მაგრამ საცა შენი მიწა-წყლის ადამიანი ერთიც არა გვაგს გვერდით, იქ ორმაგად ძნელდება. მით უმეტეს, თუ ახალგაზრდა ხარ. ჩემი მეგობარი კი მოღალად ახალგაზრდა იყო, ოცის თუ ოცდაერთი წლისა. სიშმაგემდე ენატრებოდა სამშობლო, ბავშვობის ადგილები, ამ ადგილების ხმები; გრძნობდა, დღითიდღე ელეოდა ძალა, და მაშინ, რაღაც მანქანებით (უაღრესად სხვადასხვა საშუალებით გზავნიდა წერილებს) მშობლებამდე მიაწვდიდა მუდარა: იქნებ, მიეწოდებინათ, როგორმე, ქართული წიგნი...

და მოხდა საოცრება — წიგნი მოვიდა. ეს იყო გალაკტიონის პირველი ერთტომეული, გამოცემული ათას ცხრაას ოცდაშვიდ წელს. რაღა თქმა უნდა, წიგნი მაშინვე არ გადაუჯიათ უფროსებს. ჩემს მეგობარს ცრემლიც კი დასჭირდა, რომ მისი ყოვლად უწინებლობა დაემტკიცებინა. ბოლოს, ბევრი ტრიადლის, ფურცელისა და ყროსიის შემდეგ, მიაშვეფს.

იმ დღიდან ჩემი მეგობარი, როგორც კი პაწაწინა



სამტაკარი პაწა პაწასული

საშუალება მიეცემოდა, ჩაცუქქებოდა, წამოიფარებდა ბუშლატის საველოს თავზე, კითხულობდა მრგვალი, ლამაზი ასოებით დაბეჭდილ ლექსებს და ეწვეწებოდა, რომ შინ იყო, აქეთ-იქიდან კეთილი მეზობლების შეხატვევებანი ესმოდა.

წუხელის დამით ქარი დაპქროდა და დიდხანს, დიდხანს არ დამეძინა, მე მქონდა ბინა, თავშესაფარი, მაგრამ ქართულს არ პქონდა ბინა.

ეს ძალას მატებდა, არა მარტო სულიერ, ფიზიკურ ძალასაც, ესოდენ საჭიროს აქ, უმძიმეს სამუშაოზე. და იგი ვადაჩრა, ყოველ შემთხვევაში, ჩემს მეგობარს მაინც ასე სჯერა, რომ იქ იმ წიგნმა გადაარჩინა.

... მერე ერთ დღეს ისიც და სხვებიც სხვა ადგილზე გადასაყვანად გააშადეს, გამოუცხადეს, — გარდა ჩანაცმელისა და ზედგადასახურისა, არაფერი წავედლოთ. ჩემმა მეგობარმა მაინც მოახერხა და გარეთ გაიტანა წიგნი. გავიდნენ უდაბურ ადგილებში, იარეს, იარეს ტყეებში, თოვლში, ბოლოს შეისვენეს. და აი, ჩემი მეგობარი უბიდან ამოიღებს წიგნს, — მან იცის, რომ მეორე ადგილას ვერაფრით ვერ შეიტანს მას, — ამოარჩევს ნაძვის ტოტზე ბალიშით მძიმედ დადებული თოვლს და წიგნს მალულად დაასვენებს ზედ.

— იმავე დამე კვლავ მოვიდოდა თოვლი, — ამბობს ჩემი მეგობარი, — მოვიდოდა თოვლი, წიგნი დაიმარხებოდა ქაღალელებითი სამტაკო ფიჭვის ქვეშ და ასე ისტდებოდა სანაგვე ყუთს, უფრო კი — თუთუნთან ერთად დაწვას — გალაკტიონი.



1932

# რეჟისორი მარიკა

სტაჟანი მხარგრძელი

თოჯინების სპექტაკლი  
აქვს კუდრატა მარიკას,  
გამოაკრ აფიშა:

— არიქა და არიქა!  
ხალსი ბლომად აწეღება,  
დროსე მოსვლას ეცადეთ,  
ეკრძალებათ დასწრება  
ჩვილ ბაიებს ერთ წლამდე.  
ეველას ერთად აგროვებს  
თავის სათამაშოებს —  
თებროებს და თამროებს,  
შაშოებს და მაშოებს.  
თვალსუჭუნებს აღვიძებს,  
ვინც კი ადრე იძინებს,  
გამომზანჭა ეველანი,  
აღმევეს ახალ ზიზიებს.



კატას — კოსტა კედები,  
ვირაფს — ჭრელი ვილეტი,  
მელა ჯდება მოლარედ,  
რომ გაუიღოს ბილეთი.  
იკუნტრუშებს ეურცქვიტა,  
იბაჯბაჯებს დათუნა,  
ფიოს კვერდით იცეკვებს  
თავუნია ცმაცუნა.  
ბატი შემოაბოტებს,  
მოჰევებიან ქათმებიც,  
თუკი ვინმე მხეცუნამ  
არ ჩააულო თათები.  
აქლერდება მუსიკაც, —  
წიკო, წიკო, გარმონო,  
ეველაფერი იქნება,  
ოლონდ დავგაცადონო!  
ხულარ დაიგვიანებთ,  
ზარმა სამჯერ დარეკა,  
თოჯინების სპექტაკლი  
აქვს რეჟისორ მარიკას.

მხატვარი ლალი ლოთიაძე





ნაწივენი ვინინილან

„სიგრიტისეა და უკვლავი“

## 30 03

იაკობი ფანჯარასთან იდგა, მთაწმინდას ვახტანგ-როდა, მთაწმინდის მიდამო მზის შუქს გაენათებინა. პირველი მზის სხივი, რომელიც თბილისის ცაზე აირეკლებოდა, მთაწმინდის მიდამოს ანათებდა მუდამ. უკვარდა იაკობს მზით განათებული მთაწმინდის ცქერა.

სახლში გული აღარ დაუდგა, მოსასახამი მხრებზე წამოიგდო, აღმართს ნელი ნახიჯით აუყვა.

მომძლავრებულყო გაზაფხული მთაწმინდაზე. წირვა დამთავრებულიყო, ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. ბავშვები ყვავილებით შერეოდნენ ფერდობს, ყვავილებს კრუფდნენ, პებლებს დასდევდნენ, მათი მხიარული სიცილი-კისკისი იქაურობას აყრუებდა. მინდვრის ყვავილების პატარა კონებს

ბავშვებო!

თქვენს საყვარელ მწერალს, ქალბატონ კლავდია დევიდარინს 80 წელი შეუსრულდა.

სათნოებით აღსავსე ამ ჭეშმარიტმა ქართველმა ქალმა, მთელი შეგნებული ცხოვრება სამშობლოს უანგარო მსახურებას და თქვენს სიყვარულს შეაღია.

ერუნალი «დილა», სრულიად საქართველოს საზოგადოებრიობასთან ერთად, გულმხურვალედ ულოცავს ქალბატონ კლავდიას სათნოელო თარიღს და უსურვებს მას დიდხანს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას და შემდგომ შემოქმედებით წარმატებებს.

ერთმანეთს უჩვენებდნენ.

იაკობმა პატარების მახლობლად მოსასახამი გაშალა და დაჯდა: თვალს არ ამორებდა მათს თამაშს, გულს უხარებდა მათი ტიკტიკი. ის დრო მოაგონდა, დედისათვის მინდვრის ყვავილებს რომ კრუფდა.

პატარა გოგონა მომთრებით მდგომი ახალგაზრდა კაცისაკენ გაიქცა, მუხლებზე მოეხვია:

— მამილო, წამოდი, როგორი პებლები დავიჭირე!

— მამა, მამა! — თბილი და ახლობელი იყო ეს სიტყვები. იაკობმა გულის კუნჭულში მწარე ტკივილი იგრძნო.

„ქვეყნის მამადა ხარ გამზადებული, არ შეგფერის შეილთა მცირობა“.

— „დედაენა“? — წაინურუნულა ზამბახმა, თავი ნახად შეარხია. — მარადიული ძველი იქნება შენთვის, უკვდავი იქნება შენი პირმშო...

პირველი ასო, პირველი სიტყვა?

— მაგ დაბრკოლებასაც გადლახავ, განა ოდესმე გაშინებდა დაბრკოლებები? შენი პირმშო უბერებელი იქნება მუდამ.

იაკობმა კვლავ პატარებს





მიაპურო მხერა. პატარა გოგონა მწვანე მოლზე იჯდა, კალთაში მინდვრის ყვავილები ეყარა, თავიგულს კრავდა.

ჯანსაღი და სიცოცხლით სავსე სახე ჰქონდა პატარას, დაჰხაროდა კალთაში დაგროვილ ყვავილებს.

იაკობი პატარა გოგონასაკენ წავიდა. ბუნქებმა გზა გადაუღობეს, მისწი-მოსწია. ბუნქიდან ღურჯთვალა იამ შგომანათა, შეინძრა, ყელი

**მხატვარი ელსარდ ამოკაძე**

მოიდგრა. თვალეღბაჭყეტილი მიაჩერდა. იაკობმა გოგონას ხელი დაუქნია, გოგონამ მიირბინა, იტბის დანახვანზე ხელი ხელს შემოჰკრა, აწეული კაბის კალთა ჩამოუვარდა, მინდვრის ყვავილები ძირს მიმოიფანტა, მისმა ბავშვურმა ხმამ მთაწმინდის ფერღებზე გაიწვრიალა:

— აი, ია, რამდენია! — გოგონა გახარებული ტაშს უკრავდა და იაკობს შეს-

ძახობდა:

— ძია, დავკრიფდი ვეზუმი აი, რამდენია! იაკობი გახევედა. რას ამბობს გოგონა?!

— აი, ია, რამდენი ია! — არ ისვენებდა გოგონა.

— აი ია! — იაკობმა ძლივს ამოიღდა ენა, შუბლი მოისრისა, — ია, აი ია!

ბავშვებმა ბუნქთან თავი მოიყარეს, იტბს დაუწევს კრეფა, ძია კი კვლავ მათთან იღვან და ჩურჩულებდა:

— ია, ია, აი ია... ჩემი „დედაენა“!

იაკობს აღარ ახსოვს, სახლში მიფრინდა თუ მივიდა. ხარის ხმაზე დაფეთებული სოლო გარეთ გამოვარდა.

— რა იყო, ბატონო?

— სოლო, ია, აი ია!

სოლომ უკან დაიწია. თავისი ბატონი კარებში შეუშვა და მხერა გააყოლა.

იაკობმა იის ძირი მაგიდაზე დადო, მაგიდას გარს უვლიდა და ჩურჩულებდა:

— ია, ია, აი ია...

სოლო იის ძირს დააკვირდა, განსაკუთრებული ვერაფერი დაინახა, ხელეკი გაასავსავა და კარი გაიხურა.

იაკობი ბედნიერი სახით წინ და უკან დადიოდა, ხანგამოშვებით შეჩერდებოდა, იას აღერსიანად გადახედავდა, წაიჩურჩულებდა — ია, ია, აი ია!

ძლივს, ძლივს მიავნო დედაენის პირველ ასოს, პირველ სიტყვას, „დედაენის“ გასაღებს, და ეს ბედნიერი დღე შვილის დაბადების დღესავით უხაროდა.

# ჩვილი და სხივი

## ლალი ჯაფარაშვილი

როცა სძინავს ღედივოს,  
როცა სძინავს მამიკოს,  
ვიწეებ დუღუნ-სიმღერას,  
მინდა ვუვლამ ვაივოს,  
როგორ შეთამაშება  
დიღ-დიღობით შხის სხივი,  
როგორ მოდის აკვანთან,  
მაციხებს და იცინის,  
მე ხანდახან ვატყუებ  
და თავს მოვიმძინარებ,  
სხივი ფესხაც არ იცვლის  
ემპაკურად მცინარე,  
ძალით მისხნის ქუთუთოს,  
დამიხუბას მიშლის,  
დაწვე შებლატუება,  
მიღიტინებს ცხვირში...  
უცხად ისე ვაცხიკინებ,  
გულს ვუსეთქავ სხივს და მძივებს,  
სხივი მირბის კისრისტეხით,  
თან უსხლტება გზაზე ფხის,  
ბრუნდება და  
ნება-ნება,  
აკვინს მძივზე დასკუნდება!  
რალა დამამინებს,  
ჩემს ზიზია მძივებს  
ეფერება სხივი!  
ვემუქრები, ვევირი:  
— ა, ა, ალუ,  
ე, ი, ა... —



რაც ნიშნავს, რომ  
ჩემია  
ეს მძივები ზიზია,  
რადგან ბებო ცისიამ  
ჩემს დაიკო მხევიანარს  
ძაფზე აცმევიანა,  
მერე დიდის ამბითა  
ჩემს აკვანზე დაკიდა.  
გაიღვიძოს ბებიმ! —  
შხის სხივს ვემუქრები  
ჩემებურად: ალუ, ე, ა!.. —  
უცხად ბებოს ეღვიძება!  
— ალუ, ე, ი! — ვუხუნები,  
სულ ეველაფერს ხედება ბები,  
არტახს მიშლის, მიგურგურებს,  
თან მიკოცნის ხელიცულებს...  
— ალუ, — ბებოს ვუთანხმდები  
და ვუხუნებ წინა კიჭებს,  
მერე ხელის ერთი მოსმით  
მძივს და შხის სხივს მუჭში ვიჭერ!  
სხივი სხლტება,  
თან იცინის,  
ხელში მრჩება  
აკვინს მძივი,  
სხივი მიდის ნება-ნება,  
თითს მიქნევს და მემუქრება, —  
შორს რომ წავა. შენი ბებო,  
ზიზია მძივს მოგტაცებო!

# ბუნების პარმონიასა და სილამაზეს



რეჟალ ზიბუბი

მისამ სარბარი

ბავშვებო, წინა საბურბეში თქვენ გაიგებთ, რომ ბუნების პარმონიასა და სილამაზეს ფიზიკის კანონები განაპირობებენ. ახლა კი მინდა ესეც გითხრათ, — ბუნებაში ფიზიკის კანონები რომ არ მოქმედებდნენ, ვერც ხმელეთზე ვივლილით და ვერც ზღვებსა და ოკეანეებს გადავცურაველით გეშებოდა.

თქვენ უსათუოდ შეგიძნევათ, რომ ყინულზე სიარული გაცილებით უფრო ძნელია, ვიდრე მიწაზე. იმასაც შეაძნეველით, რომ მორყეულ ხიდზე გავლა უფრო ჭირს, ვიდრე მყარად ჩამაგრებულ ხიდზე.

რატომ ხდება ასე?

თქვენი ცნობისმოყვარეობა რომ დეაკმაყოფილოთ, ისევე ფიზიკის კანონთა ფართო „სამყაროში“ უნდა შეგიყვანოთ. მოძრაობისა და უძრაობის განმსაზღვრელი პირობები საკმაოდ დიდი ხნის წინათ კანონების სახით ჩამოაყალიბა დიდმა ინგლისელმა მეცნიერმა ისააკ ნიუტონმა.

აღვილიდან რომ დავიძრათ, გარკვეული ძალით უნდა ვიმოქმედოთ იმაზე, რასაც ვყურდნობით. მაშინ ისიც იმგვარივე (ტოლი) და საწინააღმდეგო ძალით იმოქმედებს ჩვენზე და მოგვანიჭებს აჩქარებას. როცა მიწაზე ვვგა-



ვართ და ზედ გარკვეული, სიმძიმის ძალაზე დამატებული ძალით ვმოქმედებთ, მაშინ, ფეხსაცმელის ძირსა და მიწას შორის არსებული ხახუნის გამო, დედამიწა იმოქმედებს ჩვენზე საწინააღმდეგო ძალით და ასე გადავადგილდებით. იმის გამო, რომ დედამიწის მასა ბევრად მეტია ჩვენს მასასთან შედარებით, ჩვენი აჩქარებაც საკმაოდ დიდია. იგი მით მეტი იქნება, რაც უფრო მეტი ძალით ვიმოქმედებთ მასზე (გავრბივართ). ახლა, თუ ხახუნის ძალას შევამცირებთ (გლუვი ძირის მქონე ფეხსაცმელით ვივლით), მაშინ შემცირდება ჩვენი აჩქარებაც და, ბოლოს, თუ მიწიდან ყინულზე გადავალთ, ხახუნის ძალა იმდენად მცირე გახდება, რომ სიარულსაც კვლარ შევძლებთ. მე იმედი მაქვს, ახლა უკვე თქვენ თვითონვე მიხვდით, თუ რატომბა ასე ძნელი მორყეულ ხიდზე სირბილი. საქმე ისაა, რომ მორყეულ ხიდს სუსტი კავშირი აქვს დედამიწასთან. დედამიწა კი ჩვენი მოძრაობის ძირითადი მიხეზია. მყარად ჩამაგრებულ ხიდზე სირბილის დროს დედამიწა „ძლიერად“ მონაწილეობს ჩვენს მოძრაობაში და ასეთ ხიდზე ადვილად გავრბივართ. (ნიუტონის მიერ აღმოჩენილ ამ კანონებს თქვენ დაწვრილებით შეისწავლით ფიზიკის კურსში).

ახლა ხმელეთიდან ზღვებსა და ოკეანეებზე გადავიზაცვლოთ და შევეცადოთ გავერკვეთ,



მხატვარი ელზარდ აგოკაძე





ყო რატომ არ იძირება გემი წყალში. ამის გასაგებად აქმოთავაზებთ ასეთ მარტივ დაკვირვებას:

იღეთ ერთნაირი ზომის რამდენიმე ჭიქა და წყლით პირთამდე აავსეთ. შეძღვე შეარჩიეთ ერთნაირი წონის, მაგრამ სხვადასხვა მოცულობის ბურთულები (ზოგი ლითონის, ზოგი ხის და ა. შ.) და სათითაოდ, ნელა ჩაუშვით წყლიან ჭიქებში. დაინახავთ, რომ მცირე მოცულობის ბურთულა (მაგალითად ლითონის) მცირე მოცულობის წყალს გადმოღვრის ჭიქიდან და ჩაიძირება, ხოლო დიდი მოცულობის ბურთულა (მაგალითად ხისა) შეტ წყალს გადმოღვრის, მაგრამ ჩაძირვის ნაცვლად წყლის ზედაპირზე დაიწყებს ტივტივს. რატომ ხდება ეს ასე? ბურთულებს ხომ ერთნაირი წონა აქვთ და ისინი მხოლოდ მოცულობით განსხვავდებიან ერთმანეთისაგან. ამ კითხვაზე პასუხი პირველად გაცა ბერძენმა მეცნიერმა არქიმედემ, რომე-

ლიც ძალიან დიდი ხნის წინათ, ძველი წელთაღრიცხვის 287—212 წლებში ცხოვრობდა. ალმოაჩინა კანონი, რომლის თანახმადაც სითხეში (ან აირში) ჩაშვებულ ყოველ სხეულზე მოქმედებს ამოშდები ძალა, რომელიც მიმართულია ზემოთ და უდრის ჩაძირული სხეულის აიერ გამოდევნილი სითხის (ან აირის) წონას. ცხადია, რომ, რაც უფრო მეტი მოცულობა ექნება სხეულის ჩაძირულ ნაწილს, მით მეტი იქნება მის მიერ გამოდევნილი სითხის წონა და ე. ი. ამოშდები ძალაც. სწორედ ამით აიხსნება თქვენი დაკვირვების შედეგები: გემიც სწორედ იმიტომ არ იძირება, რომ მისი საკმაოდ დიდი ნაწილი წყალშია და ამ ნაწილის მიერ გამოდევნილი სითხის წონის ტოლი ამოშდები ძალა აკავებს მას ზედაპირზე. არქიმედეს კანონი მათემატიკურადაც მტკიცდება. ამ მტკიცებას და საერთოდ არქიმედეს კანონსაც უფრო ღრმად შეისწავლით ფიზიკის კურსში.

# მეტიჩარა დათვის ზედი

ბაჰან სანნიძე

მეტიჩარა არის ბელი,  
დათვის ბელი, ენაგრძელი.  
არაფერი მოსწონს სხვისი,  
არაფერი,  
არაფერი —  
არც ფეხები,  
არც ტუჩები,  
არც თვალები,  
არც კისერი...

ზებრა? აბა, რას ჰკავს ზებრა,  
კანკეშვრილი, თანაც ჭრელი.  
ფარშეხანგი? ფუჰ, რასა ჰკავს,  
ტანი — მოკლე, კუდი — გრძელი.  
არჩვი?  
ჯიხვი?  
ლომი?  
შველი?

ფუჰ, რას გვანან, ფუჰ, რას გვანან,  
არ რცხვინათ გამოჩენის?  
სხვა ვინა ვოქვა? ასე უშნო  
არის ეველა დანარჩენიც...

ასე ამბობს სოლმე ბელი,  
თანაც დრუნჩი ნახად უდევს  
იმ ფეხებზე, რომელიც აქვს  
მის შოდგმას და მასაც — მრუდე!





## წენწურა

ძათივანე ჭილაშვილი



იტყვი, ეს ვინღა, ვისი ტიკი-ტომი-რაო, — ჩიტია, ვვრიტია თუ მეცამეტე გოჭო? მეცამეტისა რა მოგახსენოთ, მაგრამ გოჭო კი მართლა ვარ, ოღონდ ავი გოჭო! ეს სახელი — წენწურა სწორედ ამ სიავის გამო შეგვერქვა ჯერ კიდევ ჩემთვის უხსოვარ დროს. თურმე ჩემი ერთი მსუნავი წინაპარი ნათესებში იქნედა დინგს და პირს იტკბარუნებდა. დაუნახავს პატრონს და ისე უფრენია, გიფვარდეს. კარგა დიდი ქვაც უდრუზია. იმ სამგლეს ისეთი ჭყვივლი აუტყვია, ცა ჩამოუშვია თავზე.

— ამ წენწურას არ უყურებო? — ახლა გორახისთვის დაუვლია ხელი იმ ცხონებულსა. წენწურა, წენწურათ, — აიტაცა ხალხმა ეს სიტყვა და საშვილიშვილოდ დაგვანათლა.

ძალიან ვცდილობ, ჩემი ავი ჭყვივლით არაფერს შევაწუხო, მაგრამ / თუ საღორის კარში ფეხი მომევა, დავიჭყვივლებ, მაშ რას ვიზამ?! ან გვერდი რომ ამქავდება, სანამ რამეს გავეხახუნები, მოთმენა არ გინდა? წინწილების არამსგავსი რომ ზურგზე დამასკუბდება, ვუხათრებ? და თუ მომშვიდააა, მტრისას... ჭყვივლით ვიჭაჭები. მოდგამაში გვაქვს და რა ვქნა? ვენაცვალე ბუნების მადლს! ამიტომ სახელი წენწურა სულაც არ მეთაკილება, დიდი პაპის პაპის სახელია და შეამაყება კიდევ.

მინაწერი: ბევრ თქვენგანს აბა, ჩემგან რა გესწავლებაო, მაგრამ ვინც არ იცის, იმის გასაგონად მოგახსენებთ: გოჭოს კიდევ ერთი სახელია — თელი, დინგისა — ნიკვილი, და ჩვენს საღვთოს კი, საღორეს რომ ეძახით, ჰქვია — ბელი!

კეთილად ბრძანდებოდეთ!

## ღალი ცაპიტიზვილი

საქმიანად ფუსფუსებს, —  
უოკულ დილით ვხედავ, —  
ტანთ ჩაიცვამს მარდად და  
ესმარება დედას.  
დაისწავლის გაკუეთილს,  
(დის აკვანსაც არწევს),  
მერე იღებს ჩანთას და  
სკოლისაკენ გასწევს.



## გზისკული დათუნია

ანატოლი ძარღავა

დათუნია შვილებზე  
ზრუნვას ღამის ვადაუვეს,  
ხან ტკბილულს უსიდავს,  
ხან ხსწავლის ძაღუეებს.  
ამბობს: ამათ შეშუერეს  
რღა დამბერებს!..  
„დილა“ გამოუწერა  
თორმეტი თვით ბულებს.

## პასტანა ახვლედიანი

პატარაობიდან მიყვარს მოხუცები.

ვიცი, შემეკამათებით ახლა: ვუ რა სათქმელია, განა ჩვენ კი არ გვიყვარსო? ჩვენს ბებიკოებსა და ბაბუკებზე უკეთესი ქვეყნად არაფერს გვეგულებათ.

მეტყვით და სწორიც იქნებით. დედა და მამა ხომ საყვარელია და საყვარელი, ბები-ბაბუას სიყვარული კიდევ სხვაა. ეს ისეთი გრძნობაა, ახსნას რომ ვერ შეძლებ... ხომ მართლს ვამბობ?

მე კი, იცით... ვეველა მოხუცი მიყვარდა — ნათესავი, მეზობელი, ნაცნობი, უცნობი...

ახლაც მიყვარს.

იქნებ იმიტომ, რომ მამაჩემის მხრიდან ბებიასა და ბაბუას არ მოესწრობოდა, დედაჩემის მშობლები კი შორის ცხოვრობდნენ?..

ეჰ, არ ვიცი, არა!

— გადამტეხს ეს ბავშვი, — იტყოდა დედა, — მისი ტოლები თანამოებენ ვეგერ, ეს კიდევ მოხუცებს მიჰფლობია კაი დროუღოვით და უსმენს.

ერთხელ, ვხვდავ, მოდის ბერიკაცი ჩვენი სოფლის გზაზე, ჰო, ჩემი ბავშვობის ამბავს ვიყვებით ახლა. მოდის თეთრწყურდაფენილი, მხრებში მოხრილი,

ფლოს ებჯინება და მოაბიჯებს. ძალიან უნდება ქათამთა თმა-წვერი.

«რა ლამაზია!.. როცა დაგებრდები, მეც ასე დავიყვებ თმა-წვერს!» — ვფიქრობ.

ჩვენსოფელი არ იყო. ჩვენი სოფლის ბერიკაცებს ვეველას ვიცნობდი.

მოდიოდა და თან აქეთ-იქით იხედებოდა. მიხევიდი, დაღლილი იყო და ადგილს ეძებდა ჩამოსახვენებლად.

გზის კიდეზე, ჩეროში, კორძი შენიშნა. შედგა. ყოყმანობდა. მაინც ჩამოჯდომა არჩია.

კორძთან მივიდა, იქით შეტრიალდა, აქეთ შემოტრიალდა. მუხლებში მოიხრებოდა, ისევე გასწორდებოდა... კორძი დაბალი იყო და დაჯდომას ვერ ახერხებდა მოხუცი.

მივიბრინე.


— მოგეშარები, ბაბუ.

— შენ ისე პატარა ხარ და გამხდარი... ვერ მზიდავ.

— გზიდავ.

მხარზე გადამხვია ხელი, ნელ-ნელა ჩავჯდა, ხენე-შით.

მე მის წინ გავეჩრდი.



მხატვარი ზაურ ლიხაძე



— რა გქვია? — მკითხა.

— ბაქარი.

— კაი სახელია. შენც კარგი ბიჭი ჩანხარ.

— ძალიან დაილაღე, ბაბუ?

— ძალიან.

მეც დიდებით ამოვიგებნეშე:

— დაილაღე — ეჰ!.. — და გვერდით ჩამოვუჯექი.

გაიციან და თავზე ხელი გადამისვა. კორძები ვიგრძენი. თმა გადახატრილი მქონდა და ასე მეგონა, მოხუცის ხელი კი არ სრიალებს, დახტის ჩემს თავზე-მეთქი.

— წყალი გუნდომება, ბაბუ.

— საიდან მიხვდი?

— აკი, დაღლილი ვარ!

— აბა, შენს გაზრდას...

სახლში მივიბრინე, თუნგი წყლით გაავსე და ისევ მოხუცთან მივბრუნდი.

— უჰ, რა გემრიელია, დალოცვილი!.. — თქვა მოხუცმა. — რა მქვიათ? პო, ბაქარი... შენ კი გაიხარე, შეილო. აი, შენს ქორწილში...

— გოდრით მომიტან წყალს? — ჩაფურთე.

სიცილი წასკდა.

— საიდან მიხვდი?

— ფეულა მაგას მპირდება, ბაბუ, — ვუპასუხე და მეც აეკისკისდი.

— კაი ეშმაკი ბიჭი ჩანხარ, შენ კი გაეზარდე დედას.

ახე იყო, ვოველ კეთილ კაცს ადვილად გავეუშინაურდებოდი ხოლმე, ძველი ნაცნობებით გაეაბამდით

მერე მუსაიფს. ისინიც მომიხიბობდნენ ამ მოთხას, ამ ბარისას.

ერთხელ ბრაზიანი მოხუცი შემხვდა.

— რომ დამყუდობინარ თავზე!.. — პო, სწორედ ახე მოთხრა, თუმცა მისგან ხუთი-ექვსი ნაბიჯის მოშორებით ვიდექი, — წაიღე და წყალი მომიტანე, არაფერი მოგივა.

ბრაზით უბრიალებდა თვალები და, ამიტომ, თვითონ ვერ შეეებულე, წყალს ხომ არ ისურვებდით-მეთქი. უფრო სწორად, ვყოფიანობდი, მეთქვა თუ არა. დამყუდობინარო! — ამან ნამდვილად მატკინა ბული.

თავნალუნული წავედი.

— გადაადგი ფეხი. მახე ხომ საღამომდე ვერ მობრუნდები! — დამადევნა.

მოვუტანე წყალი. დაღლია. თღნავ მოუღება სახე.

— ეჰ!.. კარგია!.. შენს ქორწილში ვოდრით...

— ვერ მომიტან! — გაეწვევტინე.

ეშმაკურად მოჭურტა თვალები:

— რატომ?.. აბა, თუ მეტყვი, რატომ?

ეგონა, გოდროსში წყალი არ განერდება-მეთქი, ვეტყვოდი.

— ვერ მოეწურები და იმიტომ, — მივუვე მკვახედ-შეცბა. თვალებში მიფურებდა და უღერულად იღიმებოდა.

დიდი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ... ზოგჯერ ახლაც წარმომიხსახება ამ მოხუცის ტკივილიანი მზერა და მოსვენება მეკარგება.



# საქართველოს ქვეყნის

## ტანვარჯიში

ნოდარ გუგუშვილი

ტანვარჯიშს ჭერ სახელი მოუგონეს (გიმნასტიკა), სპორტის სახეობად კი მოგვიანებით ჩამოაყალიბეს. ამას რომ ვამბობთ, ერთი აუცილებელი განმარტებაც უნდა დავუერთოთ. ბერძნები ყველაფერს, რაც ადამიანის ფიზიკურ განვითარებასთან იყო დაკავშირებული, გიმნასტიკას უწოდებდნენ („გიმნოსი“ ბერძნულად შიშველს ნიშნავს). XIX საუკუნის მიწურულსა და XX საუკუნის დასაწყისში, გიმნასტიკას გამოეყო ცალკეული ვარჯიშები — რბენა, ხტომები, ტუორცნა — და სპორტის დამოუკიდებელი სახეობად — მძლეოსნობად ჩამოყალიბდა. დაახლოებით ამ პერიოდში შეიქმნა დღეს ფართოდ გავრცელებული სპორტის სახეობა — ტანვარჯიშიც.

ტანვარჯიშის პირველი კომპლუარისატორები საქართველოში იყვნენ ჩეხი ენთუზიასტები (მათ შორის ანტონ ლუკევი და იულიუს გრუმლექი), რომლებიც, უმთავრესად, გიმნაზიებში მოღვაწეობდნენ და ახალგაზრდობას სხეულის გაწვრთნის — ჯანმრთელობის ხელოვნებას ასწავლიდნენ.

ეს იყო პერიოდი, როცა მთელი ევროპა ჩეხური ტანვარჯიშული ორგანიზაციის — „სოკოლის“ გავლენას განიცდიდა. მაგრამ მეფის რუსეთის მოხელენი ჩეხური „სოკოლის“ გახსნას იმთავითვე სასტიკად ეწინააღმდეგებოდნენ, ვინაიდან მიაჩნდათ, რომ იგი რუსეთის იმპერიის შე-

მადგენლობაში შემავალ პატარა ხალხებში ერთგულ-განმათავისუფლებელ სულისკეთებას აღვივებდა. სწორედ ამის გამო, საქართველოში ჭერ კიდევ 1889 წელს დაარსებულმა ტანვარჯიშულმა ორგანიზაციამ ვერ მიიღო „სოკოლის“ სტატუსი და თბილისის „ტანვარჯიშული საზოგადოების“ სახელით დაფუძნდა.

სპორტის ისტორია მყუდრო აკადემიურ კაბინეტებში არ იწერება. მის სათავეებთან მუდამ დგას ენერგიული და უანგარო ხალხი. ასეთები



# ჩოგბურთიანი კედელი

ტარიელ ჭანტურიანი

იყვნენ ქართული სპორტის პატრიარქი გიორგი ეგნატაშვილი, ანდა გიორგი ნიკოლაძე — მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, სპორტის დიდი თაყვანისმცემელი და თავად სპორტსმენი, ქართული უნივერსიტეტის პროფესორი, რომელიც, როცა ერს დასჭირდა, თავისი სურვილით წავიდა სკოლაში ფიზკულტურის მასწავლებლად.

1917 წელს სხვა ორმა ენთუზიასტმა — ვაიოზ ბერულავაშვილმა და დათა ჯავრიშვილმა თბილისში ახალი სპორტული ორგანიზაცია „ამირანი“ დააარსეს. 1918 წლის 25 აგვისტოს მათ გიორგი ნიკოლაძესთან ერთად, „ამირანის“ და თბილისში უკვე არსებული „სოკოლის“ (ვარჯიშთავე გიორგი ეგნატაშვილი) ბაზაზე, ჩამოაყალიბეს თავისუფალი, აპოლიტიკური და დამოუკიდებელი ტანვარჯიშული საზოგადოება „შევარდინი“, რომელიც 1922 წელს საქართველოს რევოლუციური მთავრობის დეკრეტით გაუქმდა, როგორც ბურჟუაზიული იდეების მატარებელი ორგანიზაცია. ეს იყო ყოვლად უაზრო, გამოვონილი ბრალდება.

მას შემდეგ დიდი დრო გავიდა, მრავალმა წყალმა ჩაიარა, და ტანვარჯიშში ახალი სახელები დამკვიდრდა. 1928 წელს მოსკოვში, პირველ სპარტაკიადაზე თბილისელმა გიორგი რცხილაძემ მრავალკუდიის ჯაშში მესამე ადგილი დაიკავა და საფუძველი ჩაუყარა ჩვენს სპორტსმენთა უველა შემდგომ წარმატებას როგორც შინ, ისე საერთაშორისო სარბიელზე. თვითონ რცხილაძე ორჯერ იყო საბჭოთა კავშირის ჩემპიონი მრავალკუდიში, უმაღლეს ტიტულებს მასთან ერთად ფლობდნენ ვლადიმერ (პავლე) რომანაშვილი, გიორგი ბაბილოძე, ალექსანდრე ჯორჯაძე, ნიკოლოზ თაყაიშვილი, რაისა ზაალიშვილი, შოთა ჩაჩხიანი და სხვანი და სხვანი.

1952 წლიდან კი ქართველმა ტანმოვარჯიშეებმა ბევრი დიდი გამარჯვება მოიპოვეს საერთაშორისო სარბიელზეც: მედეა ჭულელი ოლიმპიური ჩემპიონი გახდა, სერგო ჯაიანმა და გალინა შარაბიძემ მსოფლიო ჩემპიონატის ოქროს მედლები დაიმსახურეს. მოგვიანებით კი რუსუდან სიხარულიძემ, ნინო დრონოვამ, პაატა შამუგიაძემ, ვლადიმერ გოგოლაძემ და სხვებმა ბრწყინვალე მიღწევებით გაამდიდრეს ქართული ტანვარჯიშის ისტორია.

ჩოგბურთში რომ ვვარჯიშობ, მესმარება კედელი.  
 რა ვიცნოდი, კედელიც იქნებოდა კეთილი.  
 კედელს ბურთს რომ მივარტყამ, ჰატიოსნად მიბრუნებს.  
 არა გჯერა? — უუურუ!  
 არა გჯერა? — მიუურუ!  
 რა გისურვო, კორტის წინ აღმართულო კედლო:  
 შენც გურბინოს ჩემსავით და კორტები ვუთულოს!





## კონბა, ჩემო კონბა!

ზურაბ ძალბაძინი

— მამიკო, ზღაპარი არ მინდა, ახლა ნამდვილი ამბავი მომიყევი, — შევეხვეწე ერთხელ მამჩემს.

— კარგი, გენაცვალე, — მითხრა მამამ, — ისეთ ამბავს მოგიყვები, რომელიც ბავშვობაში მე შემემთხვა და რომლის გახსენებაც უოველთვის გულს მტკენს.

— ზაფხულობით, — დაიწყო მამჩემმა, — ზემო იმერეთის ერთ ლამაზ სოფელში ვისვენებდი ხოლმე. ამ სოფელს კალვათა ჰქვია — მართლა ძალიან ლამაზია და რაღაცით სიუვარულითა და საქმის ცოდნით მოწნულ კალათას ჰგავს. სოფლის მაცხოვრებლებს ყველას ჰყავდა ძროხა და, საოცარია, — ზარმაცს ცუდად მეწველი ძროხა ჰყავდა, მუყათისა და გამრჩელს კი — კარგად მეწველი.

ჩვენც გვყავდა ერთი ძალიან მოხდენილი, ლამაზი ძროხა, რომელსაც შველიას ვეძახდით. მაგრამ უცნაური საქონელი იყო შველია — უც-

ხოს ახლოს არ იკარებდა და თავის ლამაზ მორკალულ რქებს ხან აქით, ხან იქით ეტყევედა თითქოს აფრთხილებდა უცნობს, ახლომდებარე თორემ რაც მოგივა, შენ თავს დააბარალო.

მე მაშინ შვიდიოდე წლისა ვიყავი. მართალია, ძროხის მეც მეშინოდა, მაგრამ საცალფეხო ბილიკებზე შემორჩენილი ბალახის მოსაძოვად მაინც დავატარებდი რქებზე თოკმობულს. უცნაურია, ეს აშარი ძროხა მე, „თითისხელა ბავშვს“, არაფერს მიშავებდა. შველიასთან ძალიან ახლოს მისვლას მე მაინც ვერ ვებღავდი, თოკი იყო ჩვენი დამაჯავშირებელი, რომლის ერთ: ბოლოზე ის იყო გაშობული, მეორე ბოლო კი მე მეჭირა ხელში.

ერთხელაც გავბედე, მივუახლოვდი შველიას და მოვეფერე, სიუვარულით ვუსვამდი ხელებს ლამაზ შუბლზე, ურრებს ვუწილავდი, მერე ქედზეც გადავუსვი ხელი, მუცელზეც მოვეუთათუნე, მოვეუთათუნე და გვოცდი. ძროხის მუცელი ძალიან დიდი მომჩვენდა, თანაც შივ თითქოს რაღაც მოძრაობდა. ბიცოლაჩემი მიმიხვდა, მითხრა: — მაგას პატარა ხბო უზის და აბა, შენ იცი, საბალახოდ რომ წაიყვან, სახრე არ დამკრა და არ არბენინო, მალე ხბო უნდა მოიგოსო.

ერთხელ თოკგამობული შველია საბალახოდ წავიყვანე. ჭერ ძალიან ნაზად ძოვდა, შემდეგ ურრდ შემომბღავდა, ბალახის ძოვას თავი დაანება და საცალფეხო ბილიკიდან ორღობეში გადავიდა.

მე თოკი მივუშვი და უკან ავედევნე.

ძროხა დინჯად აუყვა ორღობეს, აიარა აღმართი და ჩვენი საცხოვრებელი სახლიდან სულ რამდენიმე ნაბიჯის მოშორებით მოღზე წამოწვა.

ბაბუაჩემმა გადმომახა:

— ბაბუ, სერგო ბიძიასთან გადაირბინე, სასწრაფოდ მოვიდესო.

სერგო ბიძია მაშინვე გამომეყა, ეწოში რომ შემოვედი, თითქმის ყველა მეზობელი იქ დაგვხვდა თავმოყრილი... ძროხა ბღოდა, ეტყობოდა ძალიან უჭირდა; იქნებ ფიქრობდა, რატომ ძველებურად კარგად არა ვარ, რომ ერთიანად დაგიფრინოთ ყველანიო.

სერგო ბიძია ხელები საპნის დაიბანა და ძროხასთან მივიდა. ჩვენს ძროხას რატომღაც თვალში არ მოსდიოდა ის. ერთხელ საკმაოზე მეტად ნასვამი იმდენი არბენინა ორღობიდან სოფლის განაპირას მცხოვრებ სერაფიონამდე, რომ როდესაც სერგომ სერაფიონის ეწოს კარე-



ბი შეგლიჯა და ძროხის დეენისაგან თავი დაიხს-  
ნა, უკვე გამოფხიზლებული იყო.

შველიამ თავისი ლამაზი თვალეები ისე მიაპყ-  
რო სერგო ბიძიას, თითქოს ბოდის უხდიდა, მა-  
შინ რომ შიში აჭამა.

სულ მალე მწვანე მოღზე ლამაზი, ყავისფე-  
რი ხბო დავინახე. ხბო შეინარა, ფეხზე წამოდ-  
გა და ბაზბაჯით რამდენიმე ნაბიჯი გადადგა დე-  
ლისაკენ. შველიამ ლოკვა დაუწყო.

ბევრი ხბო მენახა, მაგრამ ჩვენი ხბოსავით  
კობტა ხბოს წარმოდგენაც კი არ შეიძლებოდა.

— რა დავარქვავთ შენს ხბოს? — მკითხა ბი-  
ცლომა.

— კობტა, კობტა დავარქვავთ-მეთქი.

კობტა ძალიან სწრაფად იზრდებოდა და ამაში  
მეც მერია წილი — ყოველთვის მქონდა მისთვის  
ნორჩი ბალახი, პურის ნატეხები და შაქარიც კი.  
ვეფერებოდი და ვთამამებდი.

გავიდა ზაფხული, დადგა სექტემბერი. მე  
სკოლაში მიმბარეს და თბილისში დავბრუნდი,  
დრო ძალიან ნელა, ტაატით გადიოდა; წერა ვის-  
წავლე თუ არა, ჩვენიანებს წერილი მივწერე,  
სულ პირველად ჩემი კობტა მოვიკითხე.

ზაფხულის არდადეგების დადგომისთანავე  
სოფელში ჩამიყვანეს. საოცარია, მაგრამ კობტამ  
ერთი წლის უნახავი მეგობარი მასწინე მიცნო,  
შემომბლავდა და ახლოს მისულს ლოკვა დამიწ-  
ყო.

შველია და კობტა ისევ დამყავდა საბალახოდ,  
მდინარეშიც ჩამყავდა და ჭის წყალივით სუფთა  
და ანკარა წყალში ვბანდი.

გაიარა კიდევ ერთმა წელიწადმა და სოფელ-  
ში ჩასულს კობტა მეურნეობაში დამხვდა წაყ-  
ვანილი. საჭიშედ დაეტოვებინათ.

ჩემმა მეგობარმა გვიმ მითხრა, საწისქვილე-  
სთან რომ პატარა ბოსელია, იქ ჰყავთ კობტა გა-  
მოკეტილი, ძალიან საშიშია, არავის ინდობს, ყვე-  
ლას აშავებს. მარტო ბაბუა სარიდანს არ ერჩიხო.

გული როგორ მომითმენდა, რომ კობტა არ  
მენახა. ჩავირბინე დაღმართი და საწისქვილე-  
საკენ გავემართე. ბოსელთან ცხვირში გორგალგა-  
ყრილი კობტა დავინახე. მივირბინე და ძველე-  
ბურად მივეფერე, ვუზილავდი ყურებს, ქედზე  
ხელს ვუთათუნებდი. უნდა გენახათ, როგორ  
თრთოდა სიხარულით, თავის გაუხეშებულ  
ენით როგორ მეღამუნებოდა. იქვე, კოლმეურნე-  
ობის ბოსტანში, ქალები ხახვს მარგლავდნენ.  
რომ დანახეს, ვილაც ბიჭი გადავიდა კობტას-

თანო, შეშინებულემა ბაბუა სარიდანთან ბიჭი  
აფრინეს. — „ჩქარა მოდი, ვიღერ კობტას ბაბუ-  
დანა არ დაუმარცხებიაო“. მოვარდნა მჭკონიწყ-  
ბული ბაბუა სარიდანი, მაგრამ უცებ გაერკვა,  
თქვენ ძველი მეგობრები უოფილხართო.

არდადეგებმა თვალსა და ხელს შუა გაიარა  
და მე ისევ თბილისში ჩამიყვანეს. შემდეგ ზაფ-  
ხულს სოფელში ჩასულს გზაზე ბაბუა სარიდა-  
ნი შემხვდა. თითქოს ვერ შემამჩნია, გვერდით  
ჩამიარა.

— გამარჯობა, ბაბუა, — მივესალმე.

— რავა გაზრდილხარ, მეცკილილხარ, ვერც  
კი გიციანი, — მიპასუხა მოსალმეზაზე.

— კობტა როგორ არის, კობტა, — სულს  
მოთქმა არ დავაცალე სარიდან ბაბუას.

სარიდან ბაბუა ჭერ გაჩერდა, თითქოს სიტ-  
ყვებს ეძებს და მონახვა უჭირსო, მერე თავზე  
ხელი გადამისვა, თავისკენ მიმიზიდა და აუჩქა-  
რებლად წარმოთქვა: — აღარ არის ბაბუა, შენი  
კობტა, ზამთარში თივას რომ ჭამდა, ლურსმანი  
ჩაუყოლებია და იმან მოკლაო.

— ახე დასრულდა ჩემი და კობტას მეგობ-  
რობის ამბავი — ამოიხარა მამამ...



მხატვარი ვამა ქარხული

მისხური თქმულება

## წოდარ ივანიძე

ერთი გლეხი საყანეს ხნავდა. ამ დროს მღვდელს ჩამოუვლია, მოუხსნია ჯვარი, ყანის შუაგულში დაუდია და მანამ არ აუღია, სანამ ხარებს სამჯერ არ შემოუვლიათ სახნავისათვის. იმ წელს გლეხს კარგი მოსავალი მოუწვია.

მეორე გაზაფხულზე ის უკვე თავად სწვევია მღვდელს და უთხოვია, — წელსაც შეაშველე შენი ჯვარი ჩემს მიწასო.

ამ აღვილს ხალხი დღესაც ჯვრის ყანას ეძახის.




## ეკვინთავი

ტარიელ ჭანტურიანი

— ეკვინთავა იცის!	— აქვს ნაღდად
გაგიჟდები:	სატრანაზხო და
აღვა იმ დღეს,	აქვს ნაღდად
ჩაუკინთა,	საამაუო!
ვაიარა	— დღეის შემდეგ
ჩაუკინთულმა	ტუკილებში
ქობულეთი,	თუკი ისევ
ჩაქვი და,	ჩაუკინთავ,
თავი სწორედ	ენას ძირში
ბათუმში და	ამოჯაჭრი
სწორედ ჰორტში	შაპაჩემის
ამოეთ!	ჯაუეთა!

მხატვარი პასო სილაგული



# ქნის ოქსუსები

ფანტელები ფარა ს ათოეს.  
ფორიაქობს ფეფე ფიცხად.  
ფოცხით ფოთლებს ეფერება,  
ფუნჯით ფიჭვას მიაკითხა.  
ფორთხლის თუ ფურცლის ხენი  
შეფუთა და შეახვია.  
ფოლაქებიც შეიფურა,  
ფემიფულა თმაც შეარხია.

შოთა ხოლაშენი

ბეღაა ბლიაჰა

# უაჩადა

კვირის ერთი დღე ღვთისაა,  
— გვეცოდინება ნამდვილად.  
თუ ჩაუმატებ თანხმოვანს,  
ტკბილ წვეწვად აქცევ ადვილად.

# ჩიკოე

გამოიღეს 1904 წლიდან.  
საქ. კვ. ცვ-ის გამოცემულობა.

შთავარი რედაქტორი  
**რეჰვას იხანოშვილი**

სარედაქციო კოლეგია: მოწარმე აბაშო-  
ქაძე, მინანა ანთაძე, ლაშარა ბაბუა,  
სუსილე გოგიბერიძე, ვერი დავითა-  
შვილი, სოლომონ დემურხანაშვილი,  
ლეილა პრაბე, გულა ლოსხაძერიძე,  
მავკალა მრეველიშვილი, ჯურხაა ნა-  
ლიძე, თინათინ ჩალაუარი (პ/შ. მდი-  
ვანი), გივი ძვალაძე, გივი ზინობაძე.

სამხატვრო რედაქტორი  
გიორგი როინოშვილი

ტექნიკური რედაქტორი  
ანდო ვარკეთილი

მისამართი: რედაქციის, გამოცემულობის,  
სტამბის—თბილისი, შ. კოსტავას 14. ტელ.  
შთ. რედაქტორის 93-41-30, 93-98-16;  
პ/შ. მდივნის 93-10-32, 93-98-18; სამხ.  
რედაქტორის—93-98-18; განყოფილებუ-  
ბის 93-98-19.

გადაცემა ასაწეობად 11.09.90 წ., ხელმო-  
წერილია დასაბეჭდად 20.10.90 წ. ქა-  
ღალდის ზომამ 60×90<sup>1</sup>/<sub>2</sub>, ფობ. ნაბ.  
ფურც. 2,5. ტირაჟი 141.500, შეკვეთა  
№1989

ელაზე ნახტი  
ზაპრ დეიხსაძისა

«Дила» («Утро»)  
Отпечатано в типографии издатель-  
ства ЦК КП Грузии.  
Главный редактор Реваз Инанишани-  
ли (тел. 93-41-30).  
Адрес редакции и издательства:  
380096, г. Тбилиси ул. Коставы, 14.  
Объем 2,5 печатных листа, тираж  
141.500. Заказ №1989

6120/n



მხატვარი ბესიკ ჯაბაშვილი



დახმარეთ გოგონებს თავისი კაბის მოძებნაში